რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амирагловის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амирагловის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. Заграніе иностранцевъ: Въ Тифлисѣ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: თელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მ. ნ. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

УЧРЕЖДЕНА ОТ ОТРШАБАТА ЗАГРЕДА

დროება

ЦАЛКЕ НОМЕРИ ЛИРЕ ШАУРАТ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. Дауберетдели სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ПИРВЕЛИ ЕНКЕНИСТВИДАМ
АМ МДГОМАРЕ ГЛИС ДАМЛЕВАМДИН

„დროება“

ДИРЕ САМ МАНЕТАД

ПИРВЕЛИ ДВИНОМБИСТВИДАМ ГЛИС ДАМЛЕВАМДИН—ОР МАНЕТАД.

ХЕЛИС-МОЦЕРА შეიძლება თფილისში: რედაქციაში, სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амирагловის სახლებში, № 8.

ქალაქს გარეშე პირთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

საქართველო

სახალხო მასწავლებელთ მატერიალურ მდგომარეობაზედ

(დასასრული *)

ამ ჩვენი სოფლის მასწავლებლების მატერიალურ მხარეზედ მსჯელობამ ჩემ სახსოვარში ერთი შედარებითი მოგონება გააღვიძა, რომელიც არ შემიძლიან მკითხველს აქვე არ შევატყობინო.

პირველათ რომ შევდგი ფეხი სახალხო მასწავლებლების კრებაში, ჩემ თვალწინ იდგნენ ოცამდის ლამაზათ მოკმაზული ახალგაზდა კაცები. თითქმის ყველას მოდურათ მოკრეჭილი და დავარცხნილი თმა ჰქონდა, ყველას პირის კანის და ხელების სინაზე ამტკიცებდა, რომ ისინი თითქმის სრულებითაც არ იცნობენ სოფლურ შრომას, სმა-ჭამას და ცხოვრებას, მზის და ქარიშხალის გავლენას. „ევროპიული“ სერთუკები, მანიშკები, პალტოები და შლიაპები აშვენებდნენ თითქმის ყველას და გეუბნებოდნენ, რომ აქ არიან მწეერნი რომელიმე ქალაქის ყრილობისანი, და არა სასოფლო მასწავლებელნი... დრო გადიოდა და ასე გაზდილობა, კეთილშობილობა, ჩაცმულობა არაფერსაც არ იკლებდნენ; მასწავლებელი-ქალი ყოველ დღე ახალ მოდის კაბით დაბრძანდებოდა.

ამის მნახველს, მე მაშინვე მოგონდა ის სახალხო მასწავლებელთა კრება, რომელიც ენახე ქავკაზში. იქ სხვა სურათს წარმოადგენდნენ მასწავლებლები თავისი გარეშემბრით, ჩაცმა-დახურვით და ცხოვრებითაც. სამოცამდის მასწავლებელში ორსაც ვერა ნახავდი, რომ სცმოდა ის ტანისამოსი, რასაც არ იცვამს ის ხალხი, საცა ისინი მასწავლებლობენ. მზისგან დამწვარი პირის-კანი, დაბებრეული ხელები და საზოგადოთ იმათი გარეგანობა ამტკიცებდა, რომ ისინი „შავ“ მუშაობას სრულებითაც არ ანებებენ თავს. მომეტებული რიცხვი მათი ჯამაგირის გამოჩნდა 12—15 თუმანი, ოცი თუმანი მეტად ცოტასა ჰქონდა....

ამ შედარებით მე სლულებითაც არ ვფიქრობ გავიკიცხო ჩვენი მასწავლებლები და სხვა მასწავლებლებზედ დაბლა დავაყენო; აგრეთვე არ ვამბობ, რომ მართლა ეს გარეგნობა ამტკიცებდეს მათ შეძლებას. მოვიყვანე როგორც მოგონება, რომელზედაც კაცს და თვით ჩვენი ხალხის მასწავლებლებსაც, მგონი, შეუძლიან მოიფიქრონ რამ...

მა კი უნდა მოგახსენოთ, რომ „დაბალმა“ ხალხმაც კი იცის ის რიტორიკის კანონი, რომ ფორმას და შინაარსს შუა სუფევს ხოლმე, ზოგჯერ მაინც, თანხმოა, გარმოონია, ე. ი. მასწავლებლებს სიღარიბე კანჭებში მაინც არ ეტყობოდა.

მეორე მოაზრება მასწავლებელთ მატერიალური გაუმჯობესობის შესახებ ის არის, რომ მართლა ერთი შკოლა და იმისი შემწეობით შეძენილი სწავლა გლეხკაცს არ აცხოვრებს, ვერ დააკმაყოფილებს ყველა მის მოთხოვნილებას და საჭიროებას. თუ კუჭ-ცარიელი მასწავლებლისათვის სწავლება ძნელი და შეუძლებელია, აგრეთვე ძნელი და შეუძლებელია კუჭ-ცარიელი გლეხისშვილისთვის სწავლა. შკოლის გარდა, ათას ნაირი ხარჯი და ბორჯი აწევს სოფლის კაცს კისერზედ, ათას ნაირ შემთხვევაში საჭიროებს ის ფულს... ვაი იმ შკოლას და იმ მასწავლებელს, რომელიც არ უგდებს ყურს ამ სხვა მოთხოვნილებათაც და სცდილობს, რაც შეიძლება, ბევრი ძალა და შრომა სოფლის კაცისა ჩაყლაპოს!.. მით უფრო ვაი, რომ შკოლის სარგებლობის მოტანას, რაც უნდა კარგი იყოს, მაინც ბევრი რამ მიზეზები ასუსტებენ, უფრო ჩვენ მხარეში!..

ყველა ზემოთ-ნათქვამი შესახებ ჩვენი ბაზის უმთავრესი საგნისა კარგათ ესმოდათ სოფლის მასწავლებლებს, და ამის გამო არ სცნეს საჭიროდ კრებაში ამ საგანზედ უნაყოფოთ მსჯელობა, და არა მიტომ, რომ კრება არ იყო „მტკიცე ნიადაგზედ დაფუძნებული და ღრმათ მოფიქრებული“. ამას ამტკიცებს თვით ის შემთხვევა, რომელიც უფ. მ—ე მანქანურათ თავის სასარგებლოთ აბრუნებს, იმ მოსაზრებით, ალბათ, რომ ეს მე მუქთად ჩამიელისო. რასაკვირველია, მარტოთ-მარტო მე და ა. მ—ს რომ მოგვესმინა „ერთი გარეშე პირის“ წინადადება, მაშინ ჩვენ დაობას ბოლო არ ექნებოდა. მაგრამ—იმის თუ ჩემ საუბედუროთ—ამ წინადადების მსმენელი ოც პირზედ მეტი იყო, რომლებსაც მაგრე სუსტი მეხსიერება არ ექნება, რომ დაავიწყდეს, და რომლებიც ძის გაბრუდებაში არაფითარ ინტერესს არ ხედავენ და მითი არავისი ჯავრის ამოყრას არ ფიქრობენ...

საქმე მაში მდგომარეობს, რომ როდესაც მასწავლებლებმა დასდვეს სასოფლო შკოლაში ყოველ დღე ოთხი გაკვეთილი, ოთხი საათი (უფროს განყოფილებაში), მაშინ იმ „გარეშე პირმა“ მისცა წინადადება,—არ შეიძლება, რომ ჩვენ სასოფლო შკოლაში დაწესდეს სწავლა დილით და საღილს უკასამ-სამი საათი, რაც შეადგენს დღეში ექვს საათს. ამ შემთხვევაში მან მოიყვანა მაგალითად ჩრდილოეთის ქავკაზის და რუსეთის შკოლები. ამ დროს დირექტორმა სტრელეცკიმ გამოაცხადა სურვილი, რომ მასწავლებლებმა ბევრი იშრომონ შკოლისთვის, მხოლოდ ან წინადადების მიღება და გარჩევა მიანდო მასწავლებლების ნება-ყოფლობას. უ. სტრელეცკიმ სთქვა ზედ-მიწევნით ასრე:

„მე დიდი მონატრული ვარ, რომ მასწავლებლებმა ოთხის მაგიერათ ექვსი საათი იმეცადინონ დღეში, მაგრამ როგორც ეს ჩემი სურვილი, აგრეთვე სხვები არ მინდა მასწავლებლებს კანონათ გაუხადო და ძალათ მივაღებინო. ყველა ეს სრულ იმათ ნებაზედ არის დამოკიდებული“....

ამის პასუხათ ერთმა თუ ორმა—და არა მტმა—წარმოსთქვეს, რომ იმათთვის ამდენა ხნის სწავლა ძნელია, მათ არ შეუძლიანთ, რადგანაც ერთ ნამცეცა ჯამაგირს იღებენ. ამაზედ გარეშე პირმა უპასუხა, რომ იქ, ჩრდილეთქავკაზში, უფრო ცოტა ჯამაგირს იღებენ მასწავლებლებიო.

*) „დროება“, № 205.

მაგრამ ამ წინადადების წინააღმდეგ ყველა სხვა მასწავლებლებმა ჯამაგირის სიმცირე სრულებითაც არ მოიყვანეს და ამ საბუთს სრულებითაც არ მიაქციეს ყურადღება. მათ ეს არ მიიღეს მიტომ, რომ, ა) გლეხის ბიჭი მუშაობაში შველის სახლობას და ორჯერ შკოლაში მოსვლა მოუშლის ამას; ბ) ზევრ მოსწავლეთ შკოლამდის 7—8 ვერსის და ხან მეტი მანძილი უდევსთ და ამისგამო ორჯერ სიარული ძნელიაო; გ) თვით მასწავლებელნი საჭიროებენ, რომ დაისვენონო. მე ეს საბუთები მიტომ კი არ მოვიყვანე, რომ გამერჩივა მათი საფუძლობა, მე მინდოდა მეთქვა, რომ მასწავლებლებმა სრულებითაც არ მოისურვეს, რომ მათ ჯამაგირზედ გამართულიყო უნაყოფო ბაასი.

ახლა თქვენ გაშინჯეთ, თუ რა ნაირათ გაამრუდა უფ. ა. მ—ემ უ. სტრელეცკის სიტყვები და საზოგადოთ „ერთი გარეშე პირის“ წინადადება.

ზ. ქ—შვილი

დღიური

*** ერთი შემთხვევა მოხდა ამ კვირას ჩვენს ქალაქში რომელიც გვიმტკიცებს, რომ ჩვენს ქალაქშიაც გაჩენილა ევროპიული ოსტატური ავაზაკობა:

ერთმა მუშამ მოუტანა საღამოს, მეშვიდე საათზე, ვაჭარს იაკობ ხეჩიკოვს ყუთი, რომელიც, მუშის სიტყვით პოროლანოვმა გამოუგზავნა. ყუთი კლიონკაში ყოფილიყო გახვეული, გაეხსნათ, დიდხანს ეტრიალებინათ ხელში და ბოლოს აეღოთ გასაღები, რომელიც ზედ იყო გამობმული და გაღება დაეწყოთ; მაგრამ ამ დროს ხუფი თავისთავათ იწევს ზევითკენ. უფ. ხეჩიკოვს შეშინებოდა, ხელი დაეჭირებინა სახურავზედ და ისე ნელ-ნელა დაეწყო ხუფის ახდა. რომ აეხადნა და ყუთში ჩაეხედა, წარმოიდგინეთ იმის გაკვირვება! ენახა, რომ იმაში სძევს რევოლვერი და ჰყრია თოფის-წამალი.

უფ. ხეჩიკოვს იმწამსვე უცნობებია ეს ამბავი პოლიციის პრისტავისა და პროკურორისათვის და ახლა ამ საქმის თაობაზედ გამოძიება არის.

გუშინ ორშაბათს ჩვენ ვიყავით იმ ყუთის სანახავად და აი რა ვნახეთ:

თვითონ ყუთი უბრალო, სპარსული ყუთია, როგორსაც ჩვენს ბაზარში ჰყიდიან ბოლომე. გასაღებიც უბრალოა. შიგ ყუთში ერთს ალაგას ჰყრია ორ გირვანქამდინ თოფის-წამალი, რომელშიაც ჩაყოფილია რევოლვერის ლულის პირი (ტუჩი). მთელი ოსტატობა ამ მაშინისა იმაში მდგომარეობს, რომ შიგნიდამ ყუთს მიკრული აქვს პრუჟინით გაკეთებული რკინა, რომელზედაც მობმულია ერთი თავი წვრილი თოკისა; მეორე თავი თოკისა მიბმულია რევოლვერის ჩახმახზე, ძირს, სადაც თითით მოსაწევია.

ეს პრუჟინის რკინა ისეთ ნაირად არის მოწყობილი, რომ გაიღება თუ არა ყუთი, ის აწევს სახურავს (ყუთის გაღების დროს), იმწამსვე აწევს ზევით რევოლვერის ჩახმახსაც და დაცემინებს. და რადგან რევოლვერის პირი თოფისწამალშია ჩადებული, იმწამსვე ეს წამალიც იფეთქავდა. ამ თოფიწამლის გარდა, ყუთში კიდევ ორი პარკაა, ისიც მგონია, თოფის-წამლით გატენილი; სხვები ამბობენ, რაღაც სხვა წამალიაო.

ყუთი ისევ ისე სძევს ღია, როგორც გაუხსნია; დახურვა ველარ მოუხერხებია, რკინა არ უშვებსო მსურველს შეუძლიან ნახოს ის სოლოლაკზე, ამაღლების ქუჩაზე, უფ. ხეჩიკოვის სახლში.

მოუყვანიათ მჭედელი, მაგრამ ხეხელის ხლება ვერ გაუბედნია. ამ საქმის გამოძიება მინდობილი აქვს მეორე განყოფილების მომრიგებელ სასამართლოს გამომეძიებელს უფ. აბულაძეს.

*** დუშეთის უეზდის ნაჩალნიკს უფ. ზუბალოვს შეუტანია ჩვენზე საჩივარი იმ კორრესპონდენციებისათვის, რომელნიც ამ წლის „დროების“ ზაფხულის ნომრებში იყვნენ დაბეჭდილნი და რომელნიც შეეხებოდნენ ხსენებული უეზდის უფროსის ზოგიერთ უწესო მოქმედებას.

ამ საქმის თაობაზე ჩვენ ხვალინდელი დღისთვის, ხუთშაბათისათვის, დაბარებული ვართ ქალაქის მეორე განყოფილების მომრიგებელ მოსამართლის გამომეძიებელისაგან, უფ. აბულაძისაგან.

უფ. ზუბალოვი ცილის-წამებაზედ გვიჩივის.

ეს გარემოება მით უფრო გასაკვირველია ჩვენთვის, რომ თვითონ უფ. ზუბალოვი მოვიდა ამას წინათ ჩვენს რედაქციაში, იკითხა—თუ ვინ დასწერა ეს კორრესპონდენციაო, და როდესაც დავარწმუნეთ, რომ იმ კორრესპონდენციის ავტორი სრულებით ის პირი არ არის, რომელზედაც იმას ეჭვი ჰქონდა, დამშვიდდა და გვითხრა, რომ მე სრულებითაც ჩივილი არა მაქვს სახეშიო, არა ღირს ამაზედ ბევრი აყალ-მაყალიო, და თან იმისივე სიტყვებიდამ აღმოჩნდა, რომ ყველაფერი, რაც იმ კორრესპონდენციაში ეწერა, ნამდვილი და მართალი ყოფილა!

ახლა კი საჩივარი შეუტანია! ვნახოთ—ვინ მოიგებს..

*** თფილისის სასულიერო სასწავლებელზედ ცუდს ამბებს გვატყობინებენ: ჰაელაბრიდამ ქუკიაში გადმოტანა არაფრად დაეტყო ამ სასწავლებელსაო, შაგირდები დახეულ-დაფლეთილები, მშივრები და მწყურვალები დაიარებიანო. საზოგადოთ ძალიან ემდურიან სასწავლებლის ზედამხედველს...

*** ჩვენ გვითხრეს, რომ ამ დღეებში ქუკიაში დაუჭერიათ ერთი მეფაიტონე, რომელსაც გარეთ ჩაცმულ ტანისამოსს შიგნით უნახეს გატენილი დამბაჩა და ხანჯალი. მეფაიტონე რაღაც ჩხუბის გამო დაიჭირეს, პოლიციაში წაიყვანეს და იქ გამოაშკარავებულა ეს ამბავი. ის იმწამსვე დაატუსაღეს.

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ მთა-წმინდის სახალხო შკოლაში დღემდინ ქართულ ენას სრულიად არ ასწავლიდნენო. მაგრამ ამ დღეებში ამ შკოლის მასწავლებლად დანიშნეს უფ. ზულისოვი და იმან მიაქცია ჯეროვანი ყურადღება სამშობლო ენის სწავლასაო.

„დროების“ კორრესპონდენცია

სოფ. ჯიხაიში, (იმერეთში), 5 ოქტომბერს. 31 წელიწადია, რაც სასოფლო სასწავლებელი გამართა ჩვენს სოფელში მამა ჩომახიძემ. 25-ს წელს მამა ჩომახიძეს არ ჰქონდა მიჩენილი სასწავლებლისათვის საკუთარი სახლი და შემდეგ კი თავის ფულითვე იყიდა ოროთახიანი ლაზათიანი სახლი, რომელიც მოაწყო ავეჯეულობით და იმაში გადაიტანა სასწავლებელი, რომელსაც სოფელი უწოდებს „უსასყიდლოს“, რადგანაც მამა ჩომახიძე უფასოდ ასწავლის.

ამ სასწავლებელში შაგირდები არიან ორივე სქესისა, რომელთათვის არის დანიშნული საკუთარი ოთახი. მაგრამ რადგანაც ეს სასწავლებელი არის „უსასყიდლო“, მისთვის არა აქვს პატივი.

მაგრამ ეხლა ამ ბოლოს დროს მიხვდნენ, რომ სწავლა ყოფილა სასარგებლო და საჭირო.

ამ ომის დროს რომ მილიცია გაიყვანეს, უ. ჩომახიძის ნასწავლ მილიციონერებს გამოადგათ სწავლა.

მასწავლებლად, რასაკვირველია, თვითონ მამა ჩომახიძე არის. ის ასწავლის: დედა-ენას, ესე იგი ქართულ წერა-კითხვას, არითმეტიკას (ოთხ-მოქმედებას), რუსულ ენას, რუსულ ენისათვის აქვს ქ—ის „სახელმძღვანელო“, ასწავლის აგრეთვე საღმრთო წერილს; მოკლე კატეხიზმოს, რომელიც მისგან შედგენილ „ქართულ ანბანში“ არის დაბეჭდილი, მაგ. ახსნით ათი მცნებანი, ახსნით შვიდნი საიდუმლონი, ცხრა ნეტარებანი, საუბარი ცნობისათვის ღვთისა, ანგელოზისა და ეშმაკისა, და საღმრთო ისტორია.

ამ სასწავლებელში გაზაფხულში შეიკრიბებიან მოსწავლეები 80-მდინ ორივეს სქესისა თუ მეტი. შემოდგომაზედ ცოტას მოიმატებს და ზამთარში კიდევ 80 ანუ მეტი იწყებენ სასწავლებელში სიარულს.

თვითონ მამა ჩომახიძე, მართალია, დიდი ნასწავლი არ არის, ოთხი კლასის კურსი შეუსრულებია; მაგრამ რაც იცის მითი მუყაითი და დაუზარებელი არის, სასწავლებლის გამართვის გარდა მამა ჩომახიძემ შეადგინა: „ქართული ანბანი, სასარგებლო წერთნანი ახალ-მოსწავლეთ ყმაწვილთათვის“ და „პირველი საკითხავი წიგნი.“

უფ. ბეს. ლოლობერიძის თაოსნობითა და მეცადინეობით, სოფელს ჯიხაიში

გაიხსნა გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა 1876-ს წელს 25 ივლისს. მმართველი ხსენებულის ამხანაგობისა არის იგივე მამა ჩომახიძე, რომელსაც თავის სახლში აქვს გამართული კასსის კანცელარია და კარგად მიჰყავს საქმე. ერთს წელიწადს და 5 თვეს უჯამაგიროდ ემსახურა მ. ჩომახიძემ და 1878 წელში კი ჯამაგირად დაუნიშნეს 25 მანეთი წელიწადში.

ჯიხაიშელი

უცხო ქვეყნები

ოსმალეთი

ოსმალეთის მთავრობის გარდაწყვეტილებით არზრუმის ვილაიეტში შემდეგი ცვლილება უნდა მემოიღონ: ადრე აქაურ ხალხს ათის-თავი ხდებოდა ხოლმე მიწის შემოსავლისა; ახლა კი მიწის რაოდენობის-და-გვარად იქნება გადასახადი დანიშნული; ჟანდარმების უფროსათ დაინიშნებიან ევროპიელი აფიცრები; ამას გარდა არზრუმის, დიარბეკირისა და ტრაპიზონის სასამართლოში იქნება თითო ევროპიელი წევრი, რომელიც მიიღებს მონაწილეობას სისხლის საქმეების გარდაწყვეტის დროს და რომელსაც, სხვა წევრებთაგან უთანხმოების დროს, პირ-და-პირ შეუძლიან იუსტიციის მინისტრს აცნობოს თავის ჰაზრი სტამბოლში.

— სტამბოლის გაზეთებში იწერებიან, ხონთქარს ჰაზრათაც არა აქვსო, რომ მითხად-ფაშას სტამბოლში დაბრუნების უფლება მისცესო.

სტამბოლის სომხურ გაზეთს „მასისში“ ეკითხულობთ:

„სომხის პატრიარქმა ნერსესმა სთხოვა ოსმალეთის მთავარ ვეზირს, მიიღეთ რამე ღონის-ძიებაო, რომ არზრუმის ვილაიეტიდამ სომხები არ გადასახლდნენ რუსეთშიო. ვეზირმა აღუთქვა პატრიარქს ყოველ საშუალებას ეიხმართო, რომ დღეის შემდეგ არზრუმის სომხები მოსვენებით იყვნენო და ამისათვის, სხვათა შორის, გამოუცხადებთ იქაურ ხალხსაო, რომ მრავრობა მალე რეფორმებს შემოიღებს იმათ ქვეყანაშიო.“

— ერთს ფრანცუზულს გაზეთში სტამბოლიდამ იწერებიან, რომ ოსმალეთის მთავრობას გარდაწყვეტილი აქვსო, რომ ალბანიისაკენ მოაგროვოს ასი ათასი კაცი ჯარები, რომლის უფროსად ოსმან-ფაშა იქნება. ამ ძალის შემწეობით პორტას იმედი აქვს დაითანხმოს ალბანიელები, რომ იმათ დაუთმონ ჩერნოგორიას ის მიწები, რომელნიც ბერლინის კონგრესმა მისცა. მაგიერად პორტა ჰპირდება ალბანიას მპირის, თესსალიისა და ძველი სერბიის შეერთებას ალბანიასთან.“

საფრანგეთი

მოგეხსენებათ, რომ რესპუბლიკური პარტიის მოთავე გამბეტტა ამ ჟამად მოგზაურობს საფრანგეთის დეპარტამენტებში და რამდენსამე ქალაქში წარმოსთქვა სიტყვა, რომელმაც ჩვეულებრივად ააღელვა ბონაპარტისტები და კლერიკალები.

ამ მოგზაურობისა და სიტყვების თაობაზე მოლაპარაკებითა და სჯით სავსეა ახლა ყველა ფრანცუზული გაზეთები. განსაკუთრებით გააბრაზა რესპუბლიკის მოწინააღმდეგე პარტიები იმ სიტყვამ, რომელიც ქალაქს რომანსში წარმოსთქვა გამბეტტამ და რომელშიაც იმან გამოსთქვა თავის დარწმუნება და იმედი რესპუბლიკის დამკვიდრებაზედ და განმარტა პროგრამმა ამ პარტიისა.

ამ უკანასკნელ დროს გამბეტტა ყოფილა ქ. ბრენობლში, სადაც უანგარიშო ხალხი მიგებებია ყვირილით: „გაუმარჯოს რესპუბლიკას! გაუმარჯოს გამბეტტას!“

ავსტრია

ვენის გაზეთში „პრესსში“ დაბეჭდილია:

„ავსტრიასა და ოსმალეთს შუა თან-დათან უარესი და უარესი უკმაყოფილება ჩნდება. ჩვენ შევიტყეთ, რომ (ავსტრიის) სამხედრო სამინისტროში დარწმუნებულნი არიან, რომ მერმის შემოდგომაზედ უეჭველად ოსმალეთთან ბრძოლა გვექვნებაო და ამისა გამო ახლა ემზადებიან იმ დროისთვის საომრად.

„ოსმალეთი თხოულობს, რომ ნოვო-ბაზარის სანჯაყი არ დაიჭიროს ჩვენმა ჯარებმა; მაგრამ ეს კიარა, ამას იქითაც, სალონიკამდის აპირებს ჩვენი მთავრობა ჯარების დაყენებასა. ზოგიერთები ამბობენ, რომ შესაძლებელია წელსაც მოხდეს ჩვენსა და ოსმალეთს შუა შეტაკებაო. ჩვენს ქალაქში დიდის სიამოვნებით ლაპარაკობენ, რომ შეიძლება ჩერნოგორიის მთავრობამაც გამოუცხადოს ოსმალეთს ომი, თუ პოდგორიცა არ დაუთმოვო.“

— ფრანცუზულს გაზეთებში იწერებიან, რომ ავსტრიასა და საბერძნეთს შუა მოლაპარაკება არის ამ ჟამად იმაზედაო, რომ, თუ ვინიცობაა, ერთ-ერთს ამათგანს ოსმალეთთან ბრძოლა აუტყდა, ორივემ ერთად იმოქმედოს. ბევრს ლაპარაკობენო აგრეთვე ავსტრიისა და რუსეთის ერთმანეთთან დაახლოებებზედ; მაგრამ ანდრასში და მთელი ვენგრიელების პარტია ამის წინააღმდეგნი არიანო.

რუსეთი

„პოლიტიკურს ქორრესპონდენციაში“ იწერებიან, რომ რუსები 9 ივნობისთვეს შევლენ ბესსარაბიაში და დაიწყებენ ამ მაზრის გამგეობასაო.

ტელეგრამები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ვენა, 9 ოქტომბერს. „პოლიტიკურს ქორრესპონდენციაში“ სტამბოლიდამ იწერებიან: ოსმალეთის წარმომადგენელმა მუხთარ-ფაშამ და ქანდიის ნაციონალურმა ქრებამ შეჰკრეს გუშინ დათანხმების პირობა. ეს პირობა ხონთქარს უნდა წარუდგინონ ახლა დასამტკიცებელად.

რამდენიმე დღეა, რაც ოსმალეთის მინისტრებს სჯა აქვსთ იმაზე—შეიძლება თუ არაო, რომ მცირე აზიისთვის წარმოდგენილი ინგლისის რეფორმები მთელს ოსმალეთის სამფლობელოში შემოვიღოთო.

იზმაილი, 10 ოქტომბერს. დღეს, დილის 10 საათზე, დუნაის ნაპირზე იყო მოლეენა, რომელიც გარდაიხადა ქიშინევის ეპისკოპოსმა და რომლის შემდეგაც ღენ.-მაიორმა შებეკომ გამოაცხადა რუსეთთან შემოერთება ბესსარაბიის ნაწილისა. ამასთანავე რუსის მოსამზღვრე ყარაულები დადგნენ იზმაილის ნავსადგურზე და დუნაის ნაპირებზე; რუსის ჩინოვნიკებმაც დაიწყეს თავის თანამდებობის აღსრულება.

რომი, 9 ოქტომბერს. იტალიის კოროლმა მიიღო სამინისტროს თხოვნა სამსახურისაგან განთავისუფლებაზედ.

ლონდონი, 9 ოქტომბერს. როგორც სჩანს, ემირს ჰსურს, რომ მოლაპარაკება დაიწყოს ინგლისთან.

ბერლინი, 10 ოქტომბერს. საკავშირო რჩევამ დამტკიცა სოციალისტების შესახებ კანონის პროექტი.

პეტერბურგის ბირჟა, 10 ოქტომბერს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები: მან. კაპ.

პირველი გამოცემის	—	96— „
მეორესი	— — — —	95—75
მესამესი	— — — —	95—50
მეოთხესი	— — — —	95—50
აღმოსავლეთის	— —	92—50
ოქრო, 1/2 იმპერიალი	—	8—15
თფილ. თავად-აზნ. ბანკის		
გირაოს ფურცელი	— —	„— „

შინაგანი 5% სესხის ბილეთები:

		მან. კაპ.
პირველი სესხის	— —	235— „
მეორე სესხის	— — —	230— „

1 მანეთი ღირს:

ლონდონი	— —	24 3/16	„ პენსი
ამსტერდამი	— —	122—	„ ცენტი
ბერლინი	— — —	205—25	ჰფენიგი
პარიჟი	— — —	253—25	სანტიმი

განცხადებანი

თფილისის ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა უცხადებს მეტრაქტირეებსა და მეხარჩეებს (ხარშოვნიკებს), რომ ისინი ვალდებულნი არიან ამ ოქტომბრის თვის განმავლობაში გამოკეთონ უპრავაში თავიანთი ეჭოების ნოწმობა. ვინც ამ მოწმობას არ აიღებს ხსენებულ ვადამდინ, იმათი ზაევდენიები, „ტრაქტირების წესდების“ მე-17, 18 და 58 მუხლების ძალით, დაკეტილი იქნება.

(3—2)

გამოვიდა ლიტოგრაფიიდამ და ისყიდება ბ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

ქართული სახალხო სიმღერები

ნოტებზე გარდაკეთებული

მიხეილ მ. ჭავარიანისაგან

და

გამოცემული ბ. ჩარკვიანისა.

ფასი ერთი მანეთი

(3—2)

დაიბეჭდა და ისყიდება ბ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

„სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“

რომანი

ლავრენტი არდაზიანისა.

გამოცემული

ი. მელიქოვისა და ბ. ჩარკვიანისა.

ფასი 30 კაპეიკი.

(3—2)

გიგო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

„ნინო“

მოთხრობა თავადი რაფიელ ერისთვისა.

ფასი 15 კაპეიკი.

იქავ ისყიდება იმისივე

„იგავ-არაკნი“

გამოკრებილნი საბა-სულხან ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუიდამ“ და გალექსილი თ. რაფ. ერისთვისაგან.

ფასი ორი შაური.

---

29 სექტემბრიდამ დაიწყო ბოლოში აუქციონით მოამეტებულის ბარტილლერიის ცხენების გასყიდვა. გაისყიდება 1—2 და 4 არტილლერიის ბრიგადის ცხენები.

ამ ცხენების ყიდვის მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ბოლოში.

(3—3)

თბილისის უეზდში თ. ნიკო ჭავჭავაძის მამულის გვერდით, **ისყიდება მამული** სულ 700 **დესიატინა,** რომელიც შეიცავს სახნავ-სათესავ ადგილს, ტყეს, საწისქვილეს ადგილს (ბორზე)

ფასისა და აგრეთვე უფრო დაწვრილებული გარემოების შეტყობა და მამულის პლანის ნახვა შეიძლება „დროების“ რედაქციაში, სერგიევის ქუჩაზე, სახლს № 8.

(5—4)

ისყიდება პარტიითა და თითო კულითაცა **თამბაქო,** მახორკა, ნაკლებ ფასათ.

ადრესსი: ბალერეი არწრუნისა, № 146.

ივანე ალხაზოვი

დოქტორი—აკუშერი

ნ. დ. გავრილენკი

დაბრუნდა თფილისში და მიიღებს **ავათმყოფებს** ყოველ დღეს დილის 9 საათიდგან 11 საათამდინ გარდა კვირა-დღისა.

სახლი მისი: ბანოვის ქუჩაზედ, № 7. კამერჩესკის ბანკის გვერდით.

(3—2)

გამოვიდა და ისყიდება

„თამარ ბატონიშვილი“

ხუთ-მოქმედებიანი დრამმა საქართველოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებიდამ, გადმოკეთებული ბრ. რჩეულოვის რომანიდგან „საქართველოს თამარ ბატონიშვილი“

კ. მესხისაგან.

ისყიდება: თფილისში—ყველა წიგნის მაღაზიებში,

ქუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ფასი ყველგან ექვსი შაური.

16-ს აგვისტოდამ გაიხსნა

ქ. ქუთაისში

„წიგნის მაღაზია“

სადაც ისყიდება ყოველ-გვარი **სახელმძღვანელო წიგნი** (учебники), რუსულსა და ქართულს ენაზე. **ბარდა** სახელმძღვანელო წიგნებისა **„მაღაზიაში“** ისყიდება სხვა ყოველ-გვარი საკითხავი წიგნებიც, აგრეთვე რუსულსა და ქართულს ენაზე.

ამავე მაღაზიაში იმყოფება ქუთაისის განყოფილება ქავკაზიის სამასწავლებლო უწყების კომმისსიონერის უმართანოვის წიგნის მაღაზიისა.

მაღაზია იმყოფება: მიხაილოვის ქუჩაზე, უ. ხარაზოვის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

რკ. გზა.	დილა.		ს ღამ.		II კ.		III კ.	
					ძ.	კაპ.	ბ.	კაპ.
თფილისი	9	21	6	18				
მცხეთა	10	11	6	27	-	68	-	38
ბოლო	11	5	9	43	2	40	1	33
ხაშური	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი	1	44			4	42	2	46
ყვირილა	5	49			5	81	3	23
რიონი	6	5			6	75	3	75
სამტრედია	7	51			7	73	4	29
ახალ-სენაკი	8	43			8	57	4	76
ფოთი	9	5			9	75	5	42
ფოთი	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	18	-	66
სამტრედია	11	5			2	6	1	14
რიონი	12	13			3	4	1	69
ყვირილა	1	18	ღამ.		3	98	2	21
სურამი	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური	5	39	1	37	5	84	3	24
ბოლი	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა	8	50	6	59	9	8	5	4
თფილ სი	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

	მან.	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს	1	—
ბოლოს, ბაუშეთს, სილნაღს	—	50
როსტოვ, ოდესას, მოსკოვ	2	—
პეტერბურ, ვარშავას	2	—
ოსმალეთს, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საბერძნეთში	3	50
ინგლისში	3	75

ფოსტა

ა) **თფილისიდამ:** საზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს— ყოველ დღე კვირას გზდ. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ბ. ხეთს—სამშ. და შაბ. ბ) **ქუთაისიდამ:** თფილისისა და ფოთის კენ—ყოველ დღე, კვირას გარდ. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში		**კაპ.**
და საზღვარ გარეთ:		
ერთ წიგნი		4
ერ ბეჭდილის (ნაბეჭდი)		8

მაზანდა	მან.	კაპ.
თფილისი, 10 ოქტემბ.		
ფქვ. თეთ. ბანჯარა, ფთ.	1	80
ფქვილი წითელი	1	60
ქერი ფუთი	1	30
ბამბა ერევანისა, ფუთი	7	20
—ამერიკისა, ფუთი	8	40
ბაპენტილი ბ მბა ფუთი	10	—
მატყლი თუშური ფუთი	8	50
—მარაქამისა ფუთი	4	50
აბრეშუმი ნუხური სტ	2	—
ქონი, ფუთი	6	50
ქონის სანთელი ფუთი	8	20
სტეარინის სანთელი, ფთ.	12	20
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	90
—ცხვრისა, ლიტრა	—	90
სპირტი ვედრო	4	80
შაქარი, ბროც. ფუთი	7	40
—ფხვნილი ფუთი	6	20
ყავა გრგვლი, გრვ	—	70
ხეთი ქუნაკუთისა ფუთი	14	50
თამბაქო, ნაშუალო ფთ.	6	60

თფილისის სამკურნალო

ერევნის მაიდანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ოზურგეთს: ვერმიშევი და ბარალეევიჩ—შინაგ. ავათ., ქიუჩარიანც—საგარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.

სამშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ა. ბ ხუტოვი—საბებიო და ბავშვს, პეუნოვი—თვალის.

ოთხშაბათი: ვერმიშევი შინაგანი.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ., ქიუჩარიანც—ინფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პარასკევს: ვერმიშევი—შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო ქალიაა და ბავშვებს.

შაბათს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალის.

Дозволено цензурою: Тифлисъ 10 Октября 1878 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.